განკარგულება:**გ-47. 47223335**
თარიღი:**29/11/2022**

განკარგულება N72

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 2 ერთეული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიების მიწის ნაკვეთები) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე

მუხლის პირველი და მე–2 პუნქტისა და 108-ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე 240.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 28.05.22.213) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუასურებში მდებარე 190.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 28.19.21.222) (სასოფლო ამბულატორიების მიწის ნაკვეთები).

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი